Silk Road Energy

Chavchavadze Avenue, #49 , Tbilisi, Georgia

№ S-21-4

24.06.2021 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატო ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ჩვენი 2021 წლის 10 ივნისს წარმოდგენილ წერილთან (#S-21-3) დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ, რომ #31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ეხება ბახვი 5 ჰესის პროექტს. აღნიშნულ პროექტს შპს ,,სილქ როუდ ენერჯი" ახორციელებდა საქართველოს მთავრობასთან 2011 წლის 1 აგვისტოს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. მოგვიანებით, ვინაიდან კომპანიის დაკვეთით ჩატარებულმა წინასაპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევებმა გამოავლინა პროექტის განხორციელების მიზანშეუწონლობა, საქართველოს მთავრობასა და შპს ,,სილქ როუდ ენერჯი"-ს შორის გაფორმდა შეთანხმება 2011 წლის 1 აგვისტოს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გაუქმების თაობაზე.

მემორანდუმის გაუქმების შემდგომ, შპს ,,სილქ როუდ ენერჯი"-ს მიერ ბახვი 5 -ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია სრულად გადაეცა საქართველოს მთავრობას. ადგილზე არ განხორციელებულა არავითარი სამშენებლო სამუშაოები, ვინაიდან არ არსებობდა პროექტი. აღნიშნული აგრეთვე დასტურდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 25 იანვრის შემოწმების შესახებ ინსპექტირების აქტით #003103.

პატივისცემით,
შპს ,,სილქ როუდ ენერჯი"-ს
დირექტორი
ვახტანგ ღონღაძე

3.

SILK ROAD ENERGY LLC 404897563

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 11161
24 06 2021
1 ფ.
02